

603/10478



ეროვნული
ბიზნისი

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახალხო ორგანიზაციის ორგანო
ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ
1 ნაწილი, ხუთშაბათი, 1990 წ.
№ 200 (10378) • შპსი 3 პაპ.
გამოცემის 1932 წლის 13 პერიდიკა

საბავსო მატჩი, მითუმეტეს — ფინალური შეხვედრა, მართლაც ბრძოლა — წააგებ, უველაფერს და-
 კარგავ. ამიტომაც თანხის გათამაშების გადაწყვეტი შერკინების ფინალი ესოდენ გასახარი ერთათვის
 და დრამატული მეორეთათვის. ეს ფოტოებიც ნათლად შეტყულებს იმაზე, თუ რაოდენ გამორჩეულია
 თანხის მოპოვებით გამოწვეული სიხარული — ეს წუთია „აიას“ მორაგებებმა აღმა-ათის ასე დაამარცხეს
 და საკავშირო თასი დაიხადეს, გუნდის გახარებულ კაპიტანი ნუგზარ ძაგნიძე კი „ტრადიციულ რი-
 ტულს“ ასრულებს.

თასი — გეორგი!

306 თქვა „აიას“ დაგეორგა

საბჭოთა კავშირის თასი. ფინალი.
 ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 30 ოქტომბერი.
 „აიას“ (ქუთაისი)-ახკ (აღმა-ათა) 13:10 (4:6).
 „აიას“ ნ. ძაგნიძე; ე. ძაგნიძე, ო. ლიპარტილიანი, გეგუჩაძე, ხაშაშური-
 ძე; ტუაბლაძე, კიკაჩიშვილი; რეხვია შვილი, ტურაძეძე, ზაზუნაშვილი;
 ოდიშარია (ზ. ლიპარტილიანი), კაშა (იხაკაძე), ლილუაშვილი, შვანგირაძე;
 ნაჭყებია (გაბრიჩიძე).
 ახკ: ზუგვი; ფილიპოვი, კუხტინი, ბონდარევი, სტელმახი; ბოლდაკოვი;
 ბიჩკოვი; ხოხლოვი, ბებოლიოვი, სტალმახოვიჩი; კლოჩკოვი, ილვოვსკი,
 გონიხინი, უანაბევი; ოგრიზკო.

ხელ კიდევ დაამტკიცეს, რომ ქუ-
 თაისელ მორაგებთა ოსტატობას ყაყ-
 ვი არ გასვლია.
 მატჩამდე თითქმის ყველა სპე-
 ციალისტი „აიას“ ანიჭებდა უპირა-
 ტესობას. თუმცა ძნელი მისახვედ-
 რი არ იყო, რომ აღმოვლობის გზაზე
 მყოფ ალმაათელებთან ბრძოლა
 არცთუ იოლი იქნებოდა. არმიელებს
 ხომ ერთობ ძლიერი შერკინების ზა-
 ზი და საკმაოდ კარგი სამეოთხედე-
 ლები ჰყავთ. ერთი სიტყვით, სტა-
 დიონზე მრავლად მოსული მაყურე-
 ბელი დიდი იმედით, მაგრამ გარკვე-
 ული სიფრთხილით ადევნებდა თვა-
 ლყურს მატჩს.

„ველოსორტი — ჯანკოტა, პელოპია, პელოპია!“

ამ დღეებით გაიხად საქართველ-
 ოში ჩატარდება პირველი საერთა-
 შორისო ველოლაშქრობა ლაგოდე-
 ხიდან ფოთამდე, რომელშიც მო-
 ნაწილეობას მიიღებენ ქართველი
 და ამერიკელი ველოტურიზმის მო-
 ყვარულები.
 „ლელოს“ მკითხველებმა იციან,
 რომ ამ ღონისძიების ჩატარე-
 ბის თაობაზე საქართველოს ერო-
 ვნული ოლიმპიური კომიტეტის ინ-
 იციატივით მიღწეულია შეთანხმება
 ამერიკის, კერძოდ, სიეტლის ველო-
 მოყვარულთა კლუბის ხელმძღვანე-
 ლობასთან. გუშინ გაიმართა ამ
 საინტერესო ღონისძიებისათვის მზა-
 დების საორგანიზაციო კომიტეტის
 პირველი სხდომა. თბილისის ვე-

ლომოყვარულთა კლუბის წევრებ-
 მა. წარმოადგინეს ლაშქრობის მარ-
 შრუტის სქემა, რომელიც დაყოფი-
 ლია ეტაპებად. ნაგარაუდევია, რომ
 ლაშქრობა იქნება მრავალდღიანი
 და, ცხადია, მას არ ექნება საშე-
 ჯიბრო ხასიათი. მიზანია — ველო-
 ტურიზმის და ველოსპორტის პრო-
 პაგანდა. მოლაშქრეებს გზადაგზა
 შეუერთდებიან რესპუბლიკის ქა-
 ლაქებისა და რაიონების ველომო-
 ყვარულები და ძირითად ჯგუ-
 ფებთან ერთად გაივლიან იმდენს,
 რამდენიც თავად მოესურვებთ.
 სხდომამ იმსჯელა ველოსიპედე-
 ბით მონაწილეების უზრუნველყო-
 ფის, ღონისძიებისადმი მიძღვნილი
 სამახსოვრო ატრიბუტიკის დამზა-
 დების, სპონსორების დაინტერესება-
 მიზიდვისა და სხვა საკითხებზე.

... ნუგზარ ძაგნიძემ კარებს გახე-
 და, მოკლე გამორბენი შესრულა,
 ოსტატურად „მოკრა“ ბურთი და
 „აიას“ გამარჯვებისათვის საჭირო
 სამი ქულა მოუტანა.
 — საზღვარი არ ჰქონდა ქუთაისელ
 მორაგებთა სიხარულს...
 იოლად წარმოიდგენო, რა ზღბო-
 და ტრბუნებზე...
 ქუთაისის „აიას“ ორჯერ მოიპო-
 ვა საბჭოთა კავშირის თასი.
 სულ ათიოდ წელია, რაც ქუთაი-
 სელები საკავშირო რაგბის ელიტა-
 ში შევიდნენ. იმ ხნიდან მოყოლ-
 ბული დღითი დღე იზრდება მათი
 ოსტატობა, იხვეწება სათამაშო სტი-
 ლი; ბოლო ზუსტ წელიწადში კი გუ-
 ნდი ჯილდოს გარეშე არ დარჩენი-
 ლა: სამჯერ მოპოვებული ჩემპი-
 ონობა და ორჯერ თასის დაუფ-
 ლება გახლავთ ამის დასტური. ცხა-
 ლია, ასეთ კოლექტივთან ნებისმიე-

რი მეტოქე გაორკაცებული ძალით
 იბრძვის.
 ალბათ ამ მიზეზის გამოცაა, რომ
 „აიას“ გამოსვლას წლებადღელ სა-
 კავშირო პირველობაზე აღრინდელ-
 თან შედარებით უფერული შეიძლე-
 ბა ვუწოდოთ. არადა, ნებისმიერი
 სხვა გუნდისთვის მეოთხე ადგილი
 („აიას“ საკავშირო ჩემპიონატში
 IV ადგილი დაიკავა) დიდ წარმატე-
 ბად ჩაითვლებოდა. ცენტრალურმა
 პრესამაც არ დააყოვნა და მყისვე
 „თანაუგრძნო“ რიონისპირელებს:
 „ქუთაისელებს მორაგებთა ნაწილი
 დაუბერდათ, ნაწილი ძალიან ახალ-
 გაზრდა და, როგორც ჩანს, „აიას“
 დრო წავიდა“. ქუთაისელებმა კი ამ
 დღეს სწორედ გამოცდილების და
 ენერჯის შერწყმით საკავშირო თასი
 მოიპოვეს, ჩვენს არაკეთილმოსურ-
 ნეებს თვლიც დაუყენეს და ქართ-
 ული რაგბის გულშემატკივრებიც
 გაახარეს. რაც მთავარია, მათ ერთ-

06 აპ 93

ინფორმაცია
მუხამმადის საერთაშორისო ტუ-
 რნირი „ჩრდილოეთის ცილი“ წელს
 უკვე მე-17-ედ გაიმართა. აქ ფინე-
 თის, შვეციის და ნორვეგიის კლასი-
 კური სტილის მოჭიდევებთან ერ-
 თად მონაწილეობდა თბილისის ბავ-
 შვთა და მოზარდთა სპორტსკოლის
 შვიდი აღსაზრდელი. აღსანიშნავია,
 რომ ჩვენი მოჭიდევების ასაკი 18
 წელს არ აღემატებოდა, სხვებს კი
 შედარებით უფროსი ასაკის სპორტ-
 სმენები ჰყავდათ ჩამოყვანილი. 100
 კგ წონით კატეგორიაში კარგად ია-
 სპარგა და პირველი ადგილი დაი-
 კავა ირაკლი მახაროზლიძემ. დიმიტ-
 რი ხობრევიანიძე 27 მონაწილეს
 შორის მესამე იყო (58 კგ).

მადრი მთელთ პირველობაზე
სადღაც შეხდა...
პარპოვი მერვე პარტიის დამ-
 თავრების წინ მეტად ოპტიმისტურად
 იყო განწყობილი. მას ორი გამსე-
 ლელი პაიტი ჰყავდა. აქედან ერთი
 ზედმეტი იყო, მართალია, მსოფლიო
 ჩემპიონი ლაზიერითა და ეტლით ემ-
 უჭებოდა შავების მეფეს, მაგრამ კა-
 რპოვს შეეძლო ამ ფრთის დაც-
 ვა, შემდეგ კი თავისი მატერიალური
 და პოზიციური უპირატესობის გა-
 მოყენება. ერთი სიტყვით, ექსპერტე-
 ბი ელოდნენ, რომ კარპოვი, რო-
 მელმაც წინა შეხვედრაში მოიგო, ამ
 პარტიაშიც გაიმარჯვებდა და მატ-
 ჩის მსოფლიოში პირველად და-
 წინაურდებოდა.
 სინამდვილეში კი, თეთრების მზა-
 რეზე საკმაო დაცვით რესურსები
 აღმოჩნდა. რა თქმა უნდა, კასპაროვს
 ბიელი 5 საათის მანძილზე მეტად

შეუპოვარი დაცვა და „ბეწვის ხილ-
 ზე“ გავლა დასჭირდა. მან, საბო-
 ლოო ანგარიშით, შეძლო მეტოქის
 გამსვლელი პაიკების შეჩერება. საკ-
 მარისია აღინიშნოს, რომ კარპოვი
 ორჯერ აღმოჩნდა ძლიერ ცაიტრო-
 ტში, მაგრამ უპირატესობის რეალი-
 ზაციის გზა ვერ მონახა. მას შემდეგ,
 რაც თამაში გადავიდა თეორიულად
 საყაიმო ეტლებს ენდშილში, მე-
 ტოქებზე 84-ე სვლაზე დაზავდნენ.
 ახლა ძნელია იმის დადგენა, თუ
 კონკრეტულად სად შეცდა კარპო-
 ვი. ამას ხანგრძლივი ანალიზი სჭირ-
 დება, მაგრამ მატჩზე დამსწრე დი-
 დოსტატები თვლიან, რომ იგი „სად-
 ლაც“ შეცდა.
 ანგარიში კვლავ თანაბარია —
 4:4. მატჩის ნოუ-იორკის ნახევრის
 დამთავრებამდე კიდევ 4 შეხვედრა
 რჩება.

დიდოსტატები
 მერვე პარტიამ, რომელიც საე-
 როთო ჯამში ცხრა საათზე მეტ
 ხანს გაგრძელდა, შესამჩნევად მო-
 ჰქანცა არა მარტო კასპაროვი და
 კარპოვი, არამედ დარბაზში მყოფი
 მაყურებლებიცა და დიდოს-
 ტატებიც. ამიტომ მატჩის შემდგომ
 ინტერვიუზე ბევრმა უარი თქვა:
 ჯერ კიდევ კარგად არ გვაქვს გაა-
 ნალიზებული პარტიაო. მაგრამ ზო-
 გმა მაინც გამოთქვა თავისი მო-
 საზრება:
რომან ჯინჯიხაშვილი: „და-
 რწმუნებული ვარ, კასპაროვს უნ-
 და გასჭირვებოდა ორი გამსვლ-
 ელი პაიკის შეჩერება გადადებულ
 პარტიაში. თეთრებს ბრძოლის გა-
 დარჩენის შანსს აძლევდა მეტო-
 ქის მეფის არც თუ უხიფათო პო-
 ზიცია, მაგრამ კონკრეტულად თი-

ფიქრობენ, რომ...
 თქოს არაფერი ჩანდა. ამიტომ
 ვფიქრობ, შავებმა ხელიდან გაუ-
 შეგეს მოგება. მაგრამ სად დაუშ-
 ვეს შეცდომა, ვერ ვხვდები.“
პატრიკ ვოლფი: „მატჩის განა-
 ხლების შემდეგ კარპოვმა, ჩემის
 აზრით, სწორი გეგმა აირჩია. მას
 ცალი თვალი თავისი მეფისკენ ეჭ-
 ირა, მეორე კი გამსვლელი პაიკე-
 ბისკენ. კასპაროვმა მძიმე უძილო
 ლამე გაატარა, მაგრამ მისმა შტაბმა
 ეტყობა, უკეთ იმუშავა და პარტია
 გადაარჩინა.“
ანატოლი ლეინი: „კარპოვის
 შეცდომა გადადებულ პარტიაში
 ალბათ ის იყო, რომ რამდენიმე-
 ჯერ მოერიდა გართულებებს. არა-
 და, ზოგჯერ ერთი მწვავე სვლა
 გამარჯვების რეალურ გზას მიგა-
 გნებინებს.“

დასრულებული სპორტული კონტაქტები

სპორტული დღეგადაცემის ნებისმიერი გასული საზღვარგარეთ ჩვენთვის სასურველია და საამაყოც. ასეთი იყო სწორედ ჩვენი მკლავები...

ნაღელი მკლავები — რაც ვოდღა მისთვის. გადაუღებელი ბარბერი აღმოჩნდა. თუმცა ეს არც არის გასაკვირი — ამ ქვეყნებში ხომ უკვე მრავალი ათეული წელია მიხედვენიერად მკლავები და დიდი ხანია სპორტის ეს სახეობა პროფესიულ დონეზეა...



ზაურ ცხადაძე

შემდეგ ზედზედ აღნივებ მარცხი იწვნია და ფინალის მიღმა დარჩა. უნდა აღინიშნოს, რომ ყველა წონაში პირველობა მასპინძელთა გუნდის წევრებს ხვდათ — მძიმე და 90 კგ წონაში, როგორც მოსალოდნელი იყო, უძლიერესი ჯონ რიჩარდ ბრუნეი აღმოჩნდა; 80 კგ-შიც ჩვენმა „მოსკოველმა“ ნაცნობმა ტონ დემასელომ იმარჯვა...

საზოგადოებრივი მუშაობის მხარე

წალში ხტომა სპორტის ის სახეობაა, რომელიც, ალბათ, არატრადიციულად უნდა მივიჩნიოთ ჩვენი რესპუბლიკისთვის, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენს წყალში მხოლოდ მკლავები საკმარისი თუ საერთაშორისო სარბიულზე წარმატების სიმკრით ვერ დაიწუნებენ. გამარჯვებები არის და არა ერთი, მაგრამ ეს „სასიამოვნო ტრადიცია“ რატომაც დავწყვიტავს მიეცა. მოსკოვში მოსწავლეთა საკავშირო სპორტკაიდაზე მოასპარეზე საქართველოს წყალში მხოლოდ ერთი ნაკრები VIII ადგილი დაიკავა და ყველა ჩვენი სპორტსმენი უმედლოდ დარჩა. „შესაშური“ წარუმატებლობა, მაგრამ როგორც გამარჯვება, ასევე მარცხი განპირობებულია სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზებით და ჩვენი პირველი შეკითხვის პასუხად სწორედ ამ მიზეზებზე ჩამოვიყვანო სიტყვა ლიანა ციტაძემ — საქართველოს სპორტსმენების მთავარმა მწვრთნელმა, ოლიმპიური თამაშების პრიზიორმა წყალში ხტომაში.

თაისის გუნდის წარმომადგენელმა მოიპოვა ბრინჯაოს მედალი უმცროსი ასაკის მონაწილეებში. ისიც 1-მეტრიანი კომპლექსი ხტომაში. თუმცა ცხადია, მთლად მათი ბრალი არ არის, ისევ ბავშვის უქონლობა მთავარი მიზეზი. როცა რესპუბლიკურ შეჯიბრებაზე ჩამოდიან თბილისში სხვადასხვა ქალაქებისა და რაიონების გუნდები, აქვე აღვნიშნავ შეჯიბრებაზე გამოსატან პრეზენტებს, აქვე აღვნიშნავ მას და ასე სახელდახელო „გენერალური რეპეტიციით“ ვაღიან ფონს.

გულს გული იცნობს და ღონას ღონა...

ფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე რამდენიმე დღე იყო დარჩენილი, დავუკეთე ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტში და პირადად ბილ სლუბერანესს ვთხოვე გამოგზავნა განმეორებითი ტელექსი მშვიდობის ფაქტის რესპუბლიკურ კომიტეტში. პასუხი მერე დღესვე თბილისში იყო. ჩვენც ისღა დავგრჩენოდა ორგანიზაციული და ფინანსური საქმეები მოგვეგვარებინა. აქ კი დიდად დავგვიხარა საქართველოს ჟორნალული ოლიმპიური კომიტეტი, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტმა გურამ ომანიძემ კი პირადად კონტაქტებით გადაგვიჭრა სამგზავრო ბიულეტენის პრობლემა.



ზაურ ცხადაძის ბრინჯაოს მედალი

18 წლისაა, ნაკრების ყველაზე ახალგაზრდა წევრია და ამ ნიჭიერ სპორტსმენს ყველაფერი წინა აქვს. მან შეძლო ღირსული წინააღმდეგობა გაეწია მსოფლიოს მკლავების ვარსკვლავებისათვის, თუმცა ოთხი გამარჯვების შემდეგ დაძაბულ რძოლაში დამარცხდა გამოცდილ ამერიკელ სპორტსმენთან და ისიც მუხუთე ადგილს დასჯერდა. 80 კილოგრამი წონის გულა ბეწუაშვილმა ჯერ კიდევ მოსკოვის საერთაშორისო ტურნირზე მიიპყრო სპეციალისტების ყურადღება და არც ამერიკაში გამოვიდა ურიგოდ. პირველი შეხვედრა გულამაც წააგო მასპინძელთა წარმომადგენელთან, შემდეგ კი სამჯერ გამარჯვებულმა დატოვა სარბიული. ბოლო, მესამე შერკინებისას გულას ხელი დაუზიანდა, თითქმის გავითქვა მარჯვენა; ექიმებმა მისი შეჭბოებიდან მოხსნა და ორთაბრძოლის შეწყვეტა მოითხოვეს, მაგრამ მისივე დაჟინებული თხოვნით ნება დართეს ბოლომდე ებრძოლა. აქ კი ნაღელი სპორტსმენისთვის დამახასიათებელი შემართება გამოიჩინა ახალგაზრდა ქართველმა მკლავებელმა და თითქმის უიმედო მდგომარეობაში გაიმარჯვა. შემდეგ ექიმებმა „თავისი გაიტანეს“ და გულა ბეწუაშვილს მთიც აუკრძალეს სარბიულზე გამოსვლა. 68 კილოგრამი წონის კატეგორიაში მოასპარეზე დავით ჩიტაძე უძძლოდ გახდა, ორი გამარჯვების

ამასთან, ჩვენი სპორტსმენების გამოსვლა პეტალუმში, ამით არ დამთავრებულა, პარალელურად ტარდებოდა მსოფლიო პირველობა ცაციო მკლავებიდან (აგრეთვე გამართა მკლავებიდან ქალთა მსოფლიო ჩემპიონატიც). ქართველებმა აქაც სცადეს ბედი, კერძოდ, ზაურ ცხადაძემ და ჯიმი მერაბიშვილმა, თუმცა, ისინი არ არიან ცაციები. ყველას გასაოცრად ჩვენმა „მემარჯვენებმა“ ამ ტურნირშიც შეძლეს ორ-ორი გამარჯვების მოპოვება, მხოლოდ შემდეგ დათმეს ამდენივე ორთაბრძოლა და ფინალამდე ვერ მიადრეხეს, რაც საგებით ლოგიკურია.


ეს რაც შეეხება ასპარეზობას. ჩვენთვის არანაკლებ საინტერესო ამბები არიანბა კულისებს მიღმა. კალიფორნიის პრესამ დიდი ადგილი დაუთმო ქართველი ბიჭების გამოსვლას პეტალუმის მკლავების დარბაზში — „ქართველებმა სიურპრისი შემოგვთავაზეს თავიანთი ჩამოსვლა“ (ამჟამად ნიუსი), „ქალაქ სანტაროსას გახუთი“, „გამდლობთ, ქართველებო!“ („ბიზნესი“, სანტაროსა), „ყურადღება, ქართველები!“ („არგუს კურიერი“, კალიფორნია), „ქართველი გიგანტი — მომავალი მსოფლიო ჩემპიონი?“ („პეტალუმის ნიუსი“, პეტალუმ; ლამარაია ზაურ ცხადაძე) — ასეთ სათაურებს ამერიკული პრესის ფურცლებზე მალე შევხვდებით თვალს. ვახსაკუთრებული ყურადღებით გვეკიდებოდნენ მსაჯები, ამერიკელი სპორტსმენები. უნდა აღინიშნოს, რომ იქ არავის არ გაუფიქრებია საქართველო რუსეთთან და, როცა ჯიმი მერაბიშვილმა მოსკოვში დაიქაში დებიტრირება დაანარცხებინა მკლავი ფიქსატორზე, ამერიკელი გულშემატკივრები ჩვენზე არანაკლებ გახარებულნი იყვნენ.

დასასრულ, გეტყვით, რომ სპეციალისტებმაც ძალზე კარგად შეაფასეს ჩვენი გუნდის დებიტური მსოფლიო ჩემპიონატზე — გამოცდილება არ გყოფნიდა, თორემ ამერიკელებს არაფრით ჩამოუვარდებოდა — გვეუბნებოდნენ ისინი. მართლაც — მკლავები ხომ მხოლოდ ერთი წელია რაც ოფიციალურად დაინერგა საქართველოში. დამუშავებისას ბილ სლუბერანესი, მკლავების მსოფლიო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი დევტორ და მსოფლიო ჩემპიონი ჯონ ვოკერი შეგვიბრუნეს, რომ გაისად კვლავ მიგვიწვევენ მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელიც ისევ პეტალუმში ჩატარდება და, რაც მთავარია, ადგილთქვეს, რომ ყველაფერს გააყვებენ, რათა მალე გაწყვიტანდეს საქართველოს მკლავების ფედერაცია მსოფლიო ფედერაციაში.

საუბარი ჩაიწერა ლევან ჯაპანიშვილმა.

მარცხი უამრავ მიზეზთან არის დაკავშირებული, მაგრამ უმთავრესი ის იყო, რომ წყალში მხოლოდთა სასპორტკაიდაო ტურნირში 1976 წელს დაბადებულმა უფრო უმცროსებმა იასპარეზეს. ეს ასაკი კი ჩვენთვის, ტრადიციულად, „აქილესის ქუსლი“ა. ამიტომ გაგვიჭირდა გუნდის სრულად დაკომლექტება. მიუხედავად ამისა, ჩვენ იმედი გვქონდა, რომ V-VI ადგილებს მაინც დავიკავებდით, მაგრამ რამდენიმე სპორტსმენმა (იანა ოგანესიანი, გიორგი ცხადა, გიორგი ციხრაშვილი, მიხეილ სახიანიშვილი...) ვერ გამოავლინა სრულად თავისი შესაძლებლობები და გუნდიც VIII ადგილზე აღმოჩნდა.

ამასთან, 10-მეტრიანი კომპლექსიდან მხოლოდ ერთ მოგამზადებულ სრულყოფილად, რადგან ჩვენს რესპუბლიკაში არც ერთ ალუში არა გვაქვს დამონტაჟებული საპირთა ბალიშები, რომლებიც წყლის სიმკვრივის ამცირებელ და მასში-მალურად გაბრუნების ტრავმის საშიშროებას. ამიტომ არ გავრისკეთ და, რომ იტყვიან, საბანს ისე დავიფარებ, როგორც გაგვიწოდებ. არადა, სირცხვილია, რესპუბლიკაში არ იყოს ნაკრები გუნდის მოწოდების ნორმალური პირობები. მაგრამ ჩვენი გასაჭირი მარტო ეს არ არის. საქართველოში მარტო ერთი აუზია (ვაკის დასუბურული აუზი), სადაც წყალში მხოლოდ მომზადების ნორმალური პირობები აქვთ, სხვაგან კი ვარჯიშზე ლაბარაკიც ხედეტია. მასსვლს, ძველად ბათუმსა და სოხუმში ზღვის სანაპიროებზე იღვა ხის კომპლექსები და იქ ვარჯიშობდნენ მოყვარულები. ამ ტრადიციამ არაერთ სახელოვან წყალში მხოლოდ მელს აადგმევინა ფეხი, მაგრამ ის ხის კომპლექსებიც მოსუსს. დღეს-დღეობით კი რაიონებში, ფაქტობრივად, ჩავარდნილია მუშაობა. ამის ნათელი დასტურია ახლახან გამართული საქართველოს პირველობა. რამდენიმე დისციპლინაში მოასპარეზე უფროსი ასაკის სპორტსმენებში ყველა საპირთა ადგილი თბილისელებმა დაიკავეს. მხოლოდ ერთმა „გარეშემ“ — ქუ-



ლიანა ციტაძე

მუნეთ, ბავშვის პრობლემა რომ მოგაგვაროთ, მათი სიმრავლის კვალობაზე შედეგებიც გაიზრდება.

აქვე ვიტყვი, რომ საქალაქო და რაიონული სპორტკომიტეტები მაინცდამაინც თავს არ იკლავენ ჩვენი სახეობისათვის დახმარებისა და ხელშეწყობით, არადა, მათ ბევრი რამის გაკეთება შეუძლიათ ჩვენს სასიკეთოდ, თუნდაც იგივე სახტომი კომპლექსების დამონტაჟება ავიღოთ ალუზებზე.

ასეთ პირობებში აღბათ ძნელია მომავალ იმედინად უყურო...

უკეთესი მომავლის იმედს ის ნიჭიერი ბავშვები გვაძლევენ, რომელნიც მართლაც მრავლად არიან საქართველოში, უმთავრესად კი, რა თქმა უნდა, თბილისში. მათ ყურისგება უნდათ, თორემ ვინ იცის, კიდევ რამდენ ტალანტს და გვეყარება. მწვრთნელები კი ყველაფერს აკეთებენ, სწორი გზის და მიმართულება რომ მისცენ მათ ნიუსსა და ენერჯიას, მაგრამ ვიშოვო, ისევ ბავშვები, უფრო სწორედ კი უზაზრობამ, არ შეგვიშალს ხელი. თითო-ორილა მალაი კლასის წყალში მხოლოდ ვაკის სასუბურო აუზის კომპლექსში „გამოზრდინა“, მაგრამ ერთეულთა მომხმედობა რომ არას გვაძლევს, ეს საკმარისი სპორტკაიდაზეც ნათლად ვინილეთ.

სიაპოვნეობი პოპუზრკობი...

ვაშაქაშარი, რაინდული მოქიბრეც! — ასეთი დამამსოვრდელი სპორტის მოყვარულებს საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, საბჭოთა კავშირისა და ევროპის ჩემპიონი დურმიშანი ბერუშვილი წინააღმდეგ ვარჯიშისას უფრო იმართება ცნობილი ფალანგის სახელობის პრიზის გათამაშება მოსწავლე ძიულთისტა შირისი. ახლა 18 ქალაქისა და რაიონის 300-მდე კაბუჯი ასპარეზობდა უკვე რაიონ მეთერთმეტე ტურნირში. შეჯიბრების დაწყებამდე ვესაუბრეთ რუსეთის ფედერაციის დამსახურებულ მწვრთნელს, სერგეი შარტავს: — ბერუშვიტი მინახავს დურმიშან ბერუშვილი ტატარზე და ყოველთვის აღტაცებაში მოყვადი მის შე-


პოპილა კიდე პრთი პონეპა, პაპრაპ...

გაუზინ ვ. მუსელიანმა რედაქციაში მოიტანა კიდევ ერთი დოკუმენტი, რომელიც აღინიშნულია, რომ ქართველ მკლავებლებს, როგორც დამოუკიდებელ გუნდს, იწ-

ვევენ ინდოეთში სპორტის ამ სახეობის მერვე ფედერაციაში შემავალი ქვეყნების მსოფლიო XII ჩემპიონატზე. სამწუხაროდ, დღევანდელი მსოფლიო ჩემპიონატი, თვე-ნახევარი მოდიოდა თურმე თბილისამდე და ჩამთაღწია მხოლოდ 30 ოქტომბერს. ჩემპიონატი კი იწყებოდა 31 ოქტომბერს. მოწვევასთან ახლავს შეჯიბრების წესები, მაგდის ზომები, აღინიშნული ჩემპიონატების შედეგები და ა. შ.

დე და ჩამთაღწია მხოლოდ 30 ოქტომბერს. ჩემპიონატი კი იწყებოდა 31 ოქტომბერს. მოწვევასთან ახლავს შეჯიბრების წესები, მაგდის ზომები, აღინიშნული ჩემპიონატების შედეგები და ა. შ.

ილია თაგაძის რედაქციაში



„აიას“ და აღმა-ათის ას-ს სათასო ფინალური მატჩის ამ მონაკვეთში, რომლის ერთი ეპიზოდია აღბეჭდილი ფოტოზე, ანგარიში „საუაიშოა“ — 10:10. რამდენიმე წუთიც და ქუთაისელთა „სინაიპერი“ ნუგზარ ძაგნიძე გამარჯვების მომტან საჭარიმოს გაიტანს სტუმართა კარში.

თასი — გეორგი!

(დასასრული)

ჯარიმოც გაუტყდა. იგრძნობოდა, რომ სტუმრები შესვენებაზე დაარბენებულნი წავიდნენ. მეორე ნახევარში ნუგზარ ძაგნიძე მთლიანად „გაიხსნა“ — მან ორჯერ ზედ მოედინა კიდესთან დანიშნული საჭარიმოდები გაიტანა, თავისი გარღვევებით ბევრი საფეხრალ-საზრუნავი გაუჩინა სტუმართა

დაცვას. და აი, ამ დროს სტუმრები ნელიდან გაუსვლტა მასპინძლებს და ლელოს გატანით ანგარიში გაათანაბრა. სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა. ორივე გუნდმა „დაივიწყა“ დაცვა და შეტევაზე გადავიდა. უპირატესობას მასპინძლები ფლობდნენ, მაგრამ მათ ვერა და ვერ მოახერხეს სასურველი მიზნის მიღწევა. ცხელია, ამასობაში არც აღმათელები

ისინდნენ გულხელდაკრეფილი. აშკარა გახდა, რომ თამაშის ბედს გადაწყვეტა ერთ შეცდომასაც შეეძლო. ნერვებმა პირველებს არმიელებს უმეტესობა. მათ დაახლოებით მოედნის ცენტრში დაარღვიეს თამაშგარე მდგომარეობის წესი, ნუგზარ ძაგნიძემ კი ჩვეული სისუსტით დაარტყა საჭარიმოდო და მეორედ მიუჩინა ბინა საკავშირო თასს ქუთაისში.

თამაშის დამთავრებისთანავე გავსაუბრეთ „აიას“ ყველაზე „ხანდაზმულ“ და ყველაზე ახალგაზრდა მორაგებებს. ოლეგ ლიპარტელიანი: „ბედნიერი ვარ იმით, რომ შრომა დაგვიფასდა და საკავშირო თასი დავიბრუნეთ“. ზურაბ კიკაჩიშვილი: „ეს ჩემი პირველი დიდი გამარჯვებაა რაგბიში. მოხარული ვარ, რომ ამ გამარჯვებას ჩემს მშობლიურ ქალაქში ვიხეიძებ“. მილოცვებს ბოლო არ უჩანდა. აივლებმა ომახიანად დასძახეს „აიას“, ვაშა! — მათი ტრადიციული გამარჯვების მაუწყებელი კვიჩინა და გასახდელისკენ გაემართნენ. მათთვის

სარავბო სეზონი ჯერ ხომ არ დასრულებულა. ახლო მომავალში გუნდს მოუწევს ბრძოლა საჭარტელოს ჩემპიონატში, სადაც იგი გამარჯვების მთავარი კანდიდატია. მიველოცოთ ქუთაისელ მორაგბეებს და მათ მწვრთნელებს — დუგლას კავთელაშვილს და გივო ცქიტიშვილს ეს დიდი გამარჯვება და წარმატებები ფელსურვით მომავალ ასპარეზობებში. მართლაც: ვაშა, ჭიია!

მეარაბ რაბიშვილი,
„ლელოს“ ხბეც. კორ.
ქუთაისი.

საქართველოს
პროფესიული
ჩაპირნახი
ფანჯურთი

ჯგუფი

„მალაროელი“ (კიათურა) — „კახელი“ (თელავი) 1:1. მხაჯი მ. კვანტალიანი (ხაბტრედა). გოლები: კვრიტიძე („კახელი“), ერადე („მალაროელი“).

„არაგვი“ (დუშეთი) — „ბახტრიონი“ (ახმეტა) 2:2. მხაჯი შ. თომაშვილი (თბილისი). გოლები: ხოსროშვილი, ბ. წიკლაური, ა. წიკლაური („არაგვი“), თედეშვილი, თიგოშვილი („ბახტრიონი“).

„ხულორი“ (ვანი) — „იმერეთი“ (ხონი) 4:2. მხაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი). გოლები: ორმოცაძე, პაიკიძე, ზურცილავა, ვერულაშვილი („ხულორი“), მერგულიძე, გოგინავა („იმერეთი“).

„სქური“ (წალენჯიხა) — „ქართლი“ (გორის რ-ნი) 1:5. მხაჯი ნ. კილაძე (თბილისი). გოლები: ვაგნიძე-2, გო-

ვიშვილი-2, ტაბატაძე („ქართლი“), მაქაძე („სქური“).

„სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) — „საპოვნელი“ (თერჯოლა) 3:2. მხაჯი ტ. ნიშნაიანი (თბილისი). გოლები: ახალია, ციმაკურიძე-2 („სამეგრელო“), ფანჩულიძე-2 („საპოვნელი“).

ფიჭ. ინტ. (თბილისი) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 0:2. მხაჯი ვ. შელია (გაგრა). გოლები: სოლოღაშვილი, თეთრაული („ალაზანი“).

„მარგვეთი“ (ზეგნაფონი) — „დურუჯი“ (ყვარელი) 5:1. მხაჯი ო. გუნთაძე (თბილისი). გოლები: ვაბრიჭიძე, კინაძე, წითელაშვილი-3 („მარგვეთი“), ელიზბარაშვილი (დურუჯი).

„სიონი“ (ბოლნისი) — „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი“ 4:5. მხაჯი ი. კანდელიანი (თბილისი). გოლები: ხოსროშვილი, ჩიბაშვილი, ავალიანი, კიურჯიყვი, ყოჩიშვილი (ტექნიკური), ჯაგოვი-4 („სიონი“).

„ჩიხურა“ (ხაჩნურე) — „არმაზი“ (მცხეთა) 2:0. მხაჯი ო. გუნთაძე (თბილისი). გოლები: მწყერაშვილი, კაპანაძე („ჩიხურა“).

მსაქთან კამათისთვის გაფრთხილებულია ჯ. ასათიანი („ჩიხურა“).

„სინხარული-90“ (გაგრა) — „უჭქურა“ (ჭობულეთი) 7:1. მხაჯი ლ. ჩიტაია (თბილისი). გოლები: მინდაძე, გოგიაშვილი-2, სიქინავა-4 („სინხარული-90“), ღონდაძე („უჭქურა“).

იტალიის ნაკრების კანდიდატები

იტალიის ფეხბურთელთა ნაკრები ემზადება 3 ნოემბრისთვის, — ამ დღეს მას ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი აქვს საბჭოთა ნაკრებთან. როგორც ურჩხალისტებს განუტყდა მწვრთნელმა აზელი ვინინომ, ამ დღეს ტრავმის გამო ვერ ითამაშებენ ვიალი, ვერსოვოლი, დონადონი; აგრეთვე, ახალგაზრდა ფორვარდი კასიგარი, რომელმაც თავი გამოიჩინა ბოლო ნახევარში. სექცევა მატჩში გამოცდილი მცველის ბეჩაგომის მონაწილეობაც. აქ ვიღამწყვეტი სიტყვა უნდა თქვან ექიმებმა.

იტალიის ნაკრების შემადგენლობაში 19 ფეხბურთელია, ესენი არიან: მეკარეები — მენგა („ინტერი“) და ტაკონი („იუვენტუსი“); მცველები — ფერი („ინტერი“), ბარეზი, მალდინი („მილანი“). დე აგოსტინი („იუვენტუსი“), ფერარა („ნაპოლი“), გრეგუჩი („ალციო“), მანინი („სამპდორია“); ნახევარმცველები — ბერტი („ინტერი“), დე ნაპოლი, კრიპა („ნაპოლი“), მაროკო („იუვენტუსი“), ჯანინი („რომა“); თავდასხმელები — ბაჯო, სკოლაჩი („იუვენტუსი“), მანჩინი („სამპდორია“) და სერენა („ინტერი“).

ამ სიაში არიან დებიუტანტები გრეგუჩი და მანინი. ორივე მცველია, მაგრამ, როგორც ვინინომ განაცხადა, სსრ კავშირის ნაკრებთან მატჩში იტალიელები „დაცვაში სხდომას“ სრულიად არ აპირებენ. მწვრთნელმა, რომელიც მკაცრად გააკრიტიკეს უნგრეთის გუნდთან მატჩის შემდეგ, აღნიშნა: „საიმისოდ რომ შესარჩევ ტურნირში პირველი ადგილი დავიკავოთ, რაღაც უნდა დავვიჯდეს, უნდა გავიმარჯვოთ სსრ კავშირის აგუნდთან“.

კონტრაქტის ვადის გაუქმება, რომელიც 1993 წლამდეა დადებული. — მაგრამ, — თქვა მარადონამ, — მე ჯერ კიდევ მინდა მადლობა გადაუხადო ნეაპოლს, რომლის შიმართაც საკუთარ თავს ვაღივებულად ვგრძნობ.

ყველაფერი ეს მარადონამ თქვა იმასთან დაკავშირებით, რომ „ნაპოლის“ ჩემპიონთა თასის მერვედფინალის საპასუხო მატჩი ელის მოსკოვის „სპარტაკთან“.

მარადონა უკვე მეშვიდე სეზონია „ნაპოლიში“ თამაშობს. აქ მან 110 ბურთი გაიტანა (კლუბის რეკორდი), 1987 წელს „ნაპოლის“, პირვე-



ლელ მისი არსებობის ისტორიაში, ჩემპიონთა მოპოვებინა და ასეთვე წარმატება გაიმეორა შარშანაც. 1989 წელს „ნაპოლიმ“ მოიპოვა უფასესი თასი, თავისი პირველი ევროპული ნადავლი.

● **წლებანდელი** სეზონის დაწყების წინ, დასავლეთგერმანელი ბერნტ შუსტერი მადრიდის „რეალს“ გამოეთხოვა. თავდაპირველად გამოცხადდა, რომ იგი ავსტრიის „ლინცში“ გადავიდა, მოგვიანებით დაპირა იყო ბუნდესლიგის „ჰერტასა“ და „კიოლნზე“. საბოლოოდ, შუსტერი ესპანეთში დარჩა. მადრიდის „ატლეტიკომ“ გათავისუფლა ბრაზილიელი ბომბარდირი ბალთაზარი და მესამე უცხოელის ვაკანტურ ადგილზე შუსტერი მიიწვია.

● **31 მარტს** მილანში გაიმართება პელს 50 წლისთავისადმი მიძღვნილი მატჩი, რომელშიც ითამაშებენ ბრაზილიისა და მსოფლიოს ნაკრები გუნდები. მსოფლიოს ნაკრების მწვრთნელმა ფრანც ბეიენბაუერმა დაასახელა კანდიდატები ამ თამაშისათვის. ესენია: **მეპარანები:** ნელო (კამერუნი), პრიულომი (ბელგია), გოიკოეჩია (არგენტინა); **მცველები:** პასანი (ევგინტე), ბესონოვი (სსრკ), კუმანი (პოლანდია), დე ლეონი (ურუგვაი), რუჯერი, ოლარტიკოეჩია (ორივე — არგენტინა), ლარსონი (შვედია), კლისტერსი (ბელგია), აუგუსტალიერი, ჰულიუგერი (ორივე — გერმ.), უოლკერი, ბაჩერი (ორივე — ინგლისი); **ნახევარმცველები და თავდასხმელები:** ვოლტერსი, რიკიარდი, გულიერი, ვან ბასტენი (ყველა — პოლანდია), ბასალოლო, მარადონა (ორივე — არგენტინა), მიჩელი, მარტინ ვასკესი (ორივე — ესპანეთი), ანჩელინი, სერენა (ორივე — იტალია), გასკინი, უოლი (ორივე — ინგლისი), მილა (კამერუნი), ჰაჯი (რუმინეთი), ფრანჩესკოლი (ურუგვაი).

● **ბრაზილიის** ნაკრების ყოფილი მწვრთნელი ტელე სანტანა ველარ აღწევს რიმი მნიშვნელოვან წარმატებებს. ამის გამო თითქმის ყოველწლიურად უზღებდა ახალი სამუშაოს ძებნა. 1990 წლის სეზონში სანტანა ბრაზილიის „პალმეირასთან“ მუშაობდა, ახლა კი „სან პაულუს“ უხელმძღვანელებს.

● **რომორც** ინგლისური პრესა იუწყება, „მანჩესტერ სიტი“ შეიძლება ლიგისპირის „ვევერტონის“ მეპატრონე გახდეს. საქმე ისაა, რამ მანჩესტერელთა გუნდში ამჟამად „ვევერტონის“ სკოლა-გამოვლილი 9 კაცი მოღვაწეობს. მათ შორის, მწვრთნელი ჰოვარდ კენდელი, მისი თანაშემწე მიკ ჰიუტონი, მითამაშე მწვრთნელი პიტერ რიდი და მოქმედი ფეხბურთელები: ჰარპერი, მეგსონი, პიტრი, კლარკი, პოინტონი და უორლი.

გათამაშებულ სხრილი

მდგომარეობა 34-ე ტურის შემდეგ

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„მარგვეთი“ (ზეგნაფონი)	34	25	3	6	87-87	78
„ხულორი“ (ვანი)	34	24	4	6	78-48	76
„ალაზანი“ (გურჯაანი)	34	23	4	7	67-81	72
„კახელი“ (თელავი)	34	18	7	9	62-87	61
„არაგვი“ (დუშეთი)	33	14	11	8	52-46	53
„სინხარული-90“ (გაგრა)	34	15	4	15	82-47	49
„ქართლი“ (გორის რ-ნი)	34	14	5	15	54-49	47
„იმერეთი“ (ხონი)	33	13	7	13	40-48	46
„უჭქურა“ (ჭობულეთი)	34	11	13	10	50-52	46
„სქური“ (წალენჯიხა)	34	12	6	16	62-65	42
„სამეგრელო“ (თერჯოლა)	34	12	6	16	44-50	42
„მალაროელი“ (კიათურა)	34	12	6	16	51-63	42
„ჩიხურა“ (ხაჩნურე)	34	12	6	16	42-57	42
„სიონი“ (ბოლნისი)	34	11	9	14	65-66	42
„არმაზი“ (მცხეთა)	34	10	9	15	47-62	39
„სამეგრელო“ (ჩხოროწყუ)	34	8	14	12	42-47	38
„ბახტრიონი“ (ახმეტა)	34	9	9	16	42-66	36
სტუ	34	11	1	22	44-79	34
ფიჭ. ინტ. (თბილისი)	34	8	8	18	34-57	32
„დურუჯი“ (ყვარელი)	34	9	4	21	41-59	31

პელე — 50, მარადონა — 30

„სანამ ლაპარაკს დავიწყებდეთ ჩემი საფეხბურთო კარიერის დამთავრებაზე, დიდი სურვილი მაქვს „ნაპოლის“ შემადგენლობაში მოვიგო ევროპის ჩემპიონთა თასი.“ — განუტყდა ურჩხალისტებს დიეგო მარადონამ.

ბრაზილიელი პელე 50 წლის გახდა, განვილილ სამშაბათს კი თავისი 30 წლის იუბილე აღნიშნა დ. მარადონამ. „30 წელი — ეს მეტისმეტად ბევრია, რამეთუ ჩემი, როგორ დავებრდი“. — განაცხადა არგენტინელმა ფეხბურთელმა, რომელიც ხაზი გაუსვა, რომ მას ალბათ მოუწევს იტალიის „ნაპოლისთან“

● **მსაპანეთის** ფეხბურთის ფედერაციამ ოფიციალურად განაცხადა, რომ ევროპის 1992 წლის პირველობის ფინალურ ტურნირში გასვლის შემთხვევაში, ნაკრების წევრებს სოლიდური ფულადი პრემია ელთ. ძირითადი შემადგენლობის ყველა მითამაშე მიიღებს 100 ათას დოლარს, სათადარიგო კი 50 ათასს.

● **რუმინეთის** ნაკრების ერთ-ერთი წამყვანი ნახევარმცველი, 25 წლის დორინ მატეუტი, რომელიც ორი წლის წინ ევროპის საუკეთესო ბომბარდირის „ოქროს ბუცი“ დაჯილდოვდა, ბუქარესტის „დინამოდან“ ესპანეთის I დივიზიონის კლუბ „რეალ სარაგოსაში“ გადავიდა.

უსსრეთის ახალი აგებები

უაღვილოდ ღარჩენილი „მარსკვლაზი“

ორი გერმანიის ერთ სახელმწიფოდ გაერთიანება ჯერჯერობით უსაიმოვნო პერსპექტივებს უქმნის სპორტის დარგის ცნობილ მოღვაწეებს. ამ დღეებში პრესაში გამოქვეყნდა ცნობა იმის შესახებ, რომ უმუშევრად შეიძლება დარჩეს მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ფიგურულ ციგურაობაში გაბრიელა ზაიფერტი.

როგორც იუწყებიან, ფიგურული ციგურაობის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო „ვიკტორია“ ამ დღეებში გაანთავისუფლეს ბერლინის „ფრიდრიჰ-შტატ-პალასტის“ მთავარი ქორეოგრაფის თანამდებობიდან (ეს ადგილი მას ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ეკავა). მაგრამ, როგორც „დოიჩეს შპორტხოლ“ კორესპონდენტი აღნიშნავს, არ არის გამორიცხული, რომ ზაიფერტი უცხოეთში წავიდეს სამუშაოდ.

„ფოსბიური ფლოკ“-ის მოკლე ისტორია

1988 წელს მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებში ორგონის უნივერსიტეტის სტუდენტმა დიკ ფოსბიურმა (აშშ) სიმბოლურ ხტომაში 224 სანტიმეტრი დაძლია და ახალი ოლიმპიური რეკორდი დაამყარა. მისი სტილი მაშინ სპეციალისტთა დაცინვის საგანი გახდა, ახლა კი მსოფლიოს ყველა მხტომელი „ფოსბიური ფლოკ“-ის სტილს იყენებს.

სხვათა შორის, ამ ნახტომის შემდეგ სპეციალისტებმა ისტორიაშიც დაიწყეს ქეჩვა და აღმოაჩინეს, რომ მსგავსი მეთოდით სიმბოლურ ხტომაში მსოფლიოს რეკორდს დაამყარა ზაიფერტი.

წელს ხტომაში ჯერ კიდევ 20-იან წლებში იქნებ ეს მართლაც ასე იყო, მაგრამ ფოსბიურმა, ეს უკვე დოკუმენტურადაა დამტკიცებული, მრავალი ახალი მეთოდი გამოიყენა მანამ, სანამ საკუთარ სტილს შეაგნებდა.

მძლეოსნობის მოყვარულებმა „ფოსბიური-ფლოკ“-ის სტილი პირველად 1963 წლის შეჯიბრებაზე ნახეს. დაწყებითი სიმბოლურ — 163 სანტიმეტრი დიკმა მაკარტეულს წესით დაძლია (სხვათა შორის, ეს წესი მანამდე არავის გამოუყენებია). ხოლო, როცა თამაშს 168 სანტიმეტრის სიმბოლურ ხტომაში, პირველად გამოიყენა „ფლოკის“ მეთოდი, რამაც გულწრფელად გააოცა მყურებელი. თავად სპორტსმენმა კი თავის საუკეთესო შედეგს 10 სანტიმეტრი წააბარა.

გავიდა მცირე დრო და ვირჯინიის შტატის ერთ-ერთ სამედიცინო უნივერსიტეტში დაიბეჭდა წერილი იმის შესახებ, თუ რაოდენ საშიშია ორგანიზმისთვის ფოსბიურის მეთოდით (ფაქტობრივად, ზურგი) ხტომა. შემდეგ ეს სტილი უფრო დეტალურად შეისწავლეს ამერიკის სამედიცინო ასოციაციის მეცნიერებმა და მივიდნენ დასკვნამდე, რომ იგი აბსოლუტურად უხიფათო ყოფილა...

42 წლის ოლიმპიური ჩემპიონი დიკ ფოსბიური ხტომაში 224 სანტიმეტრი დაძლია და ახალი ოლიმპიური რეკორდი დაამყარა. მისი სტილი მაშინ სპეციალისტთა დაცინვის საგანი გახდა, ახლა კი მსოფლიოს ყველა მხტომელი „ფოსბიური ფლოკ“-ის სტილს იყენებს.

უველაფარი რეკლამისათვის

ორი ოლიმპიადის (მონრეალი და მოსკოვი) ჩემპიონი — მართალია, მაგრამ ფოსბიური მეთოდით სიმბოლურ ხტომაში მსოფლიოს რეკორდს დაამყარა ზაიფერტი.

წელს ხტომაში ჯერ კიდევ 20-იან წლებში იქნებ ეს მართლაც ასე იყო, მაგრამ ფოსბიურმა, ეს უკვე დოკუმენტურადაა დამტკიცებული, მრავალი ახალი მეთოდი გამოიყენა მანამ, სანამ საკუთარ სტილს შეაგნებდა.

მძლეოსნობის მოყვარულებმა „ფოსბიური-ფლოკ“-ის სტილი პირველად 1963 წლის შეჯიბრებაზე ნახეს. დაწყებითი სიმბოლურ — 163 სანტიმეტრი დიკმა მაკარტეულს წესით დაძლია (სხვათა შორის, ეს წესი მანამდე არავის გამოუყენებია). ხოლო, როცა თამაშს 168 სანტიმეტრის სიმბოლურ ხტომაში, პირველად გამოიყენა „ფლოკის“ მეთოდი, რამაც გულწრფელად გააოცა მყურებელი. თავად სპორტსმენმა კი თავის საუკეთესო შედეგს 10 სანტიმეტრი წააბარა.

გავიდა მცირე დრო და ვირჯინიის შტატის ერთ-ერთ სამედიცინო უნივერსიტეტში დაიბეჭდა წერილი იმის შესახებ, თუ რაოდენ საშიშია ორგანიზმისთვის ფოსბიურის მეთოდით (ფაქტობრივად, ზურგი) ხტომა. შემდეგ ეს სტილი უფრო დეტალურად შეისწავლეს ამერიკის სამედიცინო ასოციაციის მეცნიერებმა და მივიდნენ დასკვნამდე, რომ იგი აბსოლუტურად უხიფათო ყოფილა...

42 წლის ოლიმპიური ჩემპიონი დიკ ფოსბიური ხტომაში 224 სანტიმეტრი დაძლია და ახალი ოლიმპიური რეკორდი დაამყარა. მისი სტილი მაშინ სპეციალისტთა დაცინვის საგანი გახდა, ახლა კი მსოფლიოს ყველა მხტომელი „ფოსბიური ფლოკ“-ის სტილს იყენებს.

უველაფარი რეკლამისათვის

ორი ოლიმპიადის (მონრეალი და მოსკოვი) ჩემპიონი — მართალია, მაგრამ ფოსბიური მეთოდით სიმბოლურ ხტომაში მსოფლიოს რეკორდს დაამყარა ზაიფერტი.

საქმეს მოჰკიდა ხელი — შარშან პალეში სირბილის ცენტრი გახსნა. იქ იყიდება ყველაფერი, რაც მძლეოსნობის ამ სახეობასთანაა დაკავშირებული. ოლიმპიური ჩემპიონი ორთოპედული საშუალებებითაც ვაჭრობს და მუდამ კვალიფიციურ რჩევა-დარიგებებს აძლევს რბენის მოყვარულთ.

ბიზნესი შესაფერის რეკლამას თხოულობს. ჩერპინსკის აზრით კი, პირადი მავალითი რეკლამის საუკეთესო საშუალებაა. ამიტომ გადაწყვიტა მან სპორტში დაბრუნება, რომელსაც, რა თქმა უნდა, თან უნდა ახლდეს წარმატება.

როგორც ცნობილია, ჩემპიონმა ამ ცოტა ხნის წინ მართონელო-

თვის განკუთვნილი ყველაზე საპატო პრინციპით — ცნობილი ეთიოპიელი სტაიერის ანბე ბიკალას სარეკლამო კამპიის დასრულების შემდეგ, სპორტსმენის შრომით, რეკლამის კარგი საშუალებაა გახლდათ.

საქმარა საკუთარი თავის

მაღა ყოველთვის კამაში მოდის. ალბათ ამ ანდებით ხელმძღვანელებმა 1990 წლის სეზონის საუკეთესო სპორტსმენი, ამერიკელი ლერი ბარელი, როცა ათენში გამართულ „გრან-პრის“ ტურნირზე გამარჯვების შემდეგ განაცხადა:

— როგორც ჩანს, მართლაც, ყველაზე სწრაფი ადამიანი ვარ მსოფლიოში. მე მხოლოდ მსოფლიო რეკორდი მაკლია, მაგრამ გაისად ამ სურვილსაც ალბათ უნდა ვთქვა, რომ ყველ გამოვსვამი ერთი რამ მამომარავეს — დავამყარე მსოფლიო რეკორდი. სამწუხაროდ, პირობები ყოველთვის არ არის საამისო.


ლერი ბარელი სეზონში მართლაც სტაბილური შედეგებით გამოირჩევა. წლებს მან „გრან-პრის“ ცხრა ეტაპი მოიგო.

ამერიკელი სპორტსმენის სიმბოლურა 180 სანტიმეტრი, იწონის 82 კილოგრამს. ფიზიკური მონაცემები, სპეციალისტების აზრით, მას იდეალური აქვს. ამავე დროს ახალგაზრდა და პატივმოყვარე, ამ სიტყვის კარგი გაგებით. ამიტომ, რომ გვერა, როცა საჯაროდ ამბობს:

— 1991 წლის მსოფლიო ჩემპიონატში ვიბძობებ თბის ოქროს მედლის მოსაპოვებლად.

ბარელის ძირითადი დისტანციებია 100 და 200 მეტრი. იგი ამავე დროს სპრინტერულ ესტაფეტაშიც საკმაოდ წარმატებით ასპარეზობს და, როგორც ჩანს, სიგრძეზე ხტომაშიც. ყოველ შემთხვევაში, აქ მისი საუკეთესო შედეგია 837 სანტიმეტრი. ამის გამო მისი ოცნება საფუძველს მოკლებული არ არის.

ბარელი მხარს უჭერს ბენ ჯონსონის დაბრუნებას სარბენ ბილიზე. მას ოდნავადაც არ ეშინია უფლებაყრდელი მსოფლიო რეკორდსმენისა. პირიქით, სწორედ მასთან პირისპირ ბძობაში აპირებს სარეკორდო შედეგის ჩვენებას.



დიკ ფოსბიური მეხიკოში ასპარეზობის დროს.

ნარუმატებლად...

საში უაბუჯი, თითო გოგო — ასეთი იყო საქართველოს, აზერბაიჯანისა და მოლდოვის გუნდების შემადგენლობა, რომელთაც რუსთავეის საკლარაკო კლუბში საერთაშორისო შარში საკავშირო პირველობის ზონალურ ტურნირში იასპარეზეს.

პირველ ტურში მოლდოველებმა მოუგეს აზერბაიჯანელებს — 2,5:1,5, მეორეში კი მასპინძლებმა ასეთივე ანგარიშით დაამარცხეს მოლდოველები. სამწუხაროდ,

ამ პირველ გამარჯვებას, რომელმაც საერთო წარმატების ხელსაყრელი წინაპირობა შექმნა, შესამე ტურში მარცხი მოჰყვა — საქართველოს გუნდი აზერბაიჯანელებთან ანგარიშით 1,5:2,5 დამარცხდა.

ვინაიდან საბოლოოდ სამივე გუნდმა 4-4 ქულა მოაგროვა. დიონიზა დამატებითი ტურნირი (15-წუთიანი ბლიც-პარტიებით), რომელშიც ყველას აზერბაიჯანელებმა აჯობეს — მათ 4,5 ქულა დააგროვეს 8 შესაძლებლობად. მოლდოველები გამარჯვებულებს ნახევარი ქულით ჩამორჩნენ, საქართველოს გუნდმა კი 3 ქულით დაასრულა ტურნირი.

როლანდ ქარდინოვილი, სპორტის ოსტატი.

მორაგბეთა სამოსი გაემოკლდა

ნებისმიერი ახალგაზრდა კაცის წასვლა ამ ქვეყნიდან დიდი უბედურებაა. მაგრამ როდესაც გაცდებია მეგობარი, წლების მანძილზე მხარში რომ გეღვა, ერთი საქმეს ემსახურებოდა, ერთი ცხოვრებით ცხოვრობდი...

მორაგბეთა სამოსი უდროოდ გამოაკლდა ირაკლი თეზელაშვილი. თითქმის გუშინ იყო, რაგბში უფროსმა მამამ მოიყვანა, იმავეთვე შეეტყო ნიჭიერება, დიდი დღე ხეწდა ოსტატობას, მიღწეულით არასდროს დაკმაყოფილებულ, მუდამ სიახლეს ეძიებდა. რამდენადაც ბავშვური და გულბრწყინი იყო ცხოვრებაში, იმდენად კაცური და შეუპოვარი — მოედანზე, რამდენი თამაში გვესოვს მისი წყალობით მოგებული.

ამიტომაც შეიძლო ამდენი, ამიტომაც მიადრწია ბევრს მხოლოდ 20

წლისამ. თითქმის ყმაწვილს უკვე ოსტატობა გუნდის ლირსების დაცვა ანდეს. არაფერს იშურებდა ნდობისა და იმედების გასამართლებლად — რაგბით ცხოვრობდა, მთელ ძალღონეს რაგბის ახმარდა. ავი მოასწორო კიდევ საქართველოსა და საკავშირო ახალგაზრდულ ნაკრებებში გამოსვლა.

როგორ აღადგროვანა ეროვნული ჩემპიონატის ჩატარების იდეა. ერთი სული ჰქონდა, ეასპარეზა ქართულთა სამოს სარბიელზე. ყველას გვაბრძობდა, ტრავმებს მოვიშუშებდა მეტე მე ვიცო... ეროვნულ ნაკრებში თამაშზე ოცნებობდა და მიადრწევდა კიდევ მიზანს და ქართული რაგბის ღირსეული წარმომადგენელიც იქნებოდა, მაგრამ...

კიდევ ერთი უმცროსი სახლიკაცი გამოაკლდა ქართული რაგბის სამოსს.

თანაგუნდელები

რედაქტორი თანავი გაჩაჩილაძე

ავლაბრის სტადიონი (ბოჭორის ქ. № 18)

1 ნოემბერი

ფიხსურთი

საპარტიზალოს ეროვნული ჩემპიონატი

(II ლიგა, აღმოსავლეთის ზონა)

„მრეხვენი“ (თბილისი) — „ბანთიანი“ (ღმანისი) დასაწყისი 14, საათსა და 30 წუთზე.

პრეფერანსის გეგმარულთათვის

პრეფერანსში საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეობის მსურველთა თხოვნით, ჩემპიონატის დაწყების ვადა გადატანილია 10 ნოემბრისათვის. რეგისტრაცია იწარმოებს 10 ნოემბრამდე ყოველდღე (შაბათ-კვირის ჩათვლით) შემდეგ მისამართზე: სანაპიროს, 8. ტელ: 99-09-41, ტანვარჯიშის სპორტული კომპლექსი (საწყლო-სსო სპორტული კომპლექსის გვერდით).

კომპერატივ „მერკურისი“ გამგეობა.

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ლ. სარალიძე, კორექტორები ც. ჩიტინიშვილი და მ. ძეძამიძე.

გვანდის მისამართი:
წერილებსათვის — 280000, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14, დეპუტატისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ბალანსი:
წერილებსათვის — 28-27-55, სამღვინო — 28-27-52, ინფორმაციის განყოფილება — 28-27-54, „მერკური“ — 28-27-28, „მარტვი“ — 28-27-27.

280000 ინფორმაცია:
280000

საქართველოს კ. ც. -ს გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენისანი სტამბა. 280000, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14, იხეველსა იუბილური წესით საგანთა კორპუსი: ხოშარაულის, 25.
ბელანური ავტორებს არ უბრუნდებათ.
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20